

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ფიზიკა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ფიზიკის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“ მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი, მათ შორის 10 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებია, დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის - ფიზიკოსის მომზადება, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. ხელი შეუწყოს სტუდენტის, როგორც პიროვნების ცნობიერებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება დარგობრივ კომპეტენციებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სამყაროს კლასიკური და ფუნდამენტალური, ფიზიკური და ასტრონომიული თეორიების, კანონების, ჰიპოთეზების, პრინციპების ცოდნა და კრიტიკული გააზრების უნარი; 2. ერთი და მრავალი ცვლადის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, წრფივი ალგებრის, ანალიზური გეომეტრიისა და მათემატიკური სტატისტიკის ძირითადი თეორემებისა და დებულებების, რიცხვითი მეთოდების, კომპიუტერული პროგრამული გარსაცმებისა და პროგრამული ენების ცოდნა, გამოყენებითი და პოლიტექნიკური სასწავლო კურსების თეორიული საფუძვლების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი; 3. დარგის-ფიზიკის მნიშვნელოვანი მოვლენების, აღქმის,

	გაგებისა და კომპლექსური საკითხების გააზრების, დასკვნის, კომუნიკაციის (მათ შორის საჭიროებისამებრ უცხო ენაზე) უნარი.
შეფასების წესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე მობ: 577 179727 e-mail: gomidze@bsu.edu.ge</p>